MES 4 20 0001037123

26/10/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 09.10.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:05 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი
სხდომის მდივანი: თამარ ტუფინაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** -სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;

6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სხდომის მდივანი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
9. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
12. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
13. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
14. **რომეო გალდავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	თამარ აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	გივი სანაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
2	გიორგი მაყაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
3	ნანა ციცაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
4	თამარ ღუღუნიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
5	გიორგი მახარობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის და ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. შპს ევროპის უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

5. „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 02 ოქტომბრის №936796 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ;

6. „შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 02 ოქტომბრის №936797 გადაწუვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ;

7. „სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის “რეაბილიტაციაში მრჩევლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 02 ოქტომბრის №936798 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ;

8. „შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 სექტემბრის №896840 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

1. პირველი საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.07.2015 N105
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საავიაციო ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0716 - ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები
12	კვალიფიკაციის კოდი	0716
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	ქეთევან დედოფლის გამზირი N16, თბილისი, 0103, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ნიკა თიკანაშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა საბჭოს წევრს - თამარ ტუფინაშვილს

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს აკრედიტებულ პროგრამას, რომლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია „საავიაციო ინჟინერიის ბაკალავრი“. სწავლების ხანგრძლივობა 4 წელია. პროგრამის აქტუალობა ეჭვგარეშეა საქართველოსა და საერთაშორისო ბაზარზე საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის ინჟინრების მზარდი

მოთხოვნებიდან გამომდინარე. პროგრამის მოცულობა 240 კრედიტს შეადგენს. აქედან ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებზე გათვალისწინებული 187 კრედიტი, ხოლო თავისუფალ სასწავლო კურსებზე - 53 კრედიტი. პროგრამის სპეციფიკადნ გამომდინარე ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებში წარმოდგენილია 27 კრედიტის მოცულობის ორი არჩევითი კონცენტრაცია.

პროგრამაში გათვალისწინებულია სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) და ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) სტანდარტების მოთხოვნები, რის გამოც ძირითადი სწავლის სფეროს ზოგიერთი სასწავლო კურსი ისწავლება ინგლისურ ენაზე. ამ კურსების მოცულობა შეადგენს პროგრამის საერთო მოცულობის 27%-ს (14 სასწავლო კურსი 56-დან). დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია“ ასახულია ცვლილებები, რომლებიც განპირობებულია ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების ცვლილებით და ასევე, პროგრამის განხორციელების და განვითარების პერიოდში სხვადასხვა მონაწილე მხარის რეკომენდაციებით. კერძოდ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები შედგენილია ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) მოთხოვნების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი პროგრამის მომზადებისა და განხორციელების პროცესი ეფუძნება უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედ ზოგად და დარგობრივ შემდეგ რეგულაციებს: საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“ და სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ დირექტორის მიერ დამტკიცებულ „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესებს“. ბოლო აკრედიტაციის შემდეგ, განახლებულ პროგრამაში შესულია მნიშვნელოვანი ცვლილებები. პირველ რიგში აღსანიშნავია სტრუქტურული ცვლილებები, რომელიც გამოიხატება წინა საბაკალავრო პროგრამების „საჰაერო ხომალდებისა და საავიაციო ძრავების ტექნიკური ექსპლუატაციის“ და „საჰაერო ხომალდებისა ავიონიკისა და ელექტრული სისტემების“ ინტეგრირებაში ახალ ერთიან „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ საგანმანათლებლო პროგრამაში. სრულად შეიცვალა ინგლისური ენის სწავლების სტრუქტურაც.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 28 ივლისს განხორციელდა ვიზიტი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში. ვიზიტის დროს, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის დაცვით, ინტერვიუებისა და ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით გადამოწმდა დოკუმენტებით წარმოდგენილ ინფორმაციასთან შესაბამისობა. სასწავლო-მატერიალური ბაზის შემოწმება განხორციელდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შემოწმდა საავიაციო უნივერსიტეტის კორპუსებში განთავსებული სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიები. მეორე ეტაპზე მოხდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში განთავსებული „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სასწავლო საწარმოში“ ვიზიტი. ვიზიტის დროს შემოწმდა პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო ბაზა და პრაქტიკის ჩატარების პროცედურები. ძირითადი მიგნებების გაცნობა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენლებისათვის განხორციელდა საწარმოში ვიზიტის შემდგომ. ვიზიტის პერიოდში გაუთვალისწინებელი შემთხვევები და პროცედურული დარღვევები არ დაფიქსირებულა.
განმეორებითი აკრედიტაციის მნიშვნელოვანი მიღწევებიდან ექსპერტთა აღნიშნა, რომ განხორციელდა თანამედროვე სტანდარტების ტექნიკური მომსახურების სასწავლო საწარმოს და Boeing 737-200 ტიპის საჰაერო ხომალდის შეძენა, რომელიც განთავსებულია თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე.

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ: 1.1, 1.2, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 2.5, 2.6, 3.1, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 5.1, 6.2, და 5.3 შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რჩევები, კერძოდ:

1. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში გაცნობითი პრაქტიკის დამოუკიდებლად დამატება, მიუხედავად იმისა რომ, სასწავლო კურსი ავიაციის საფუძვლები ითვალისწინებს ვიზიტს პრაქტიკის ობიექტზე;
2. სასურველია, რუსული ენის სწავლების გაძლიერება საავიაციო ტერმინოლოგიის დონეზე, რადგან კურსდამთავრებულებს შეიძლება მოუწიოთ რუსული წარმოების ტექნიკაზე (შვეულმფრენებზე) მუშაობა;
3. მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გაწერის დროს სილაბუსების ავტორებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ ბლუმის ტაქსონომიის მიდგომები (გამოიყენოს მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები: აღწერს, ახსნის, გაანალიზებს, შეაფასებს და ა.შ.);
4. სასურველია, სასწავლო სტენდებზე არსებულ მანიშნებლებზე ინფორმაცია ქართულ ენაზეც იყოს დატანილი, რათა სტუდენტმა დამოუკიდებლად შეძლოს მისი გაგება.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
დაწესებულების რექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის. პროგრამის თანახელმძღვანელმა, ნიკა თიკანაშვლილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულიად ეთანხმება ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რჩევებს და შესაბამისად, მოხდება მათი გათვალისწინება

საბჭოს თავმჯდომარე მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ მოცემული საბაკალავრო პროგრამა ანიჭებს სტუდენტს ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხს, მოიცავს 2 კონცენტრაციას და დააზუსტა, არსებობს თუ არა დანართის სახით რაიმე დოკუმენტი, რომელშიც მითითებული კონცენტრაციის შედეგებია გაწერილი.
გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული ინგლისური ისწავლება პირველივე სემესტრიდან თამარ ტუფინაშვილი ასევე დაინტერესდა, პროგრამაზე მიღების წინაპირობით, კერძოდ, სტუდენტთა მიღების დროს არის თუ არა გარკვეული შეზღუდვა და შესაბამისად ხდება თუ არა უპირატესობის მინიჭება იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც უცხო ენის სახით ჩააბარეს ინგლისური.

ასევე მან ითხოვა განმარტება აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღის შესახებ. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა კურიკულუმის რუკით, სადაც გარკვეული შედეგის (1.2; 1.4; 2.2) განმტკიცება არ ხდება და ძირითადად ხდება მათი გაცნობა და გაღრმავება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა მოიცავს ორ კონცენტრაციას 27 კრედიტის ოდენობით, რომლის სწავლის შედეგებიც ასახულია სრულიად პროგრამის სწავლის შედეგებში, რაც ასევე დასტურდება შესაბამის სილაბუსებში ასახული ინფორმაციით და წარმოდგენილია დანართის სახით.

პროგრამის თანახელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ მოხდა ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება, რაც განხორციელდა სტუდენტთა და დამსაქმებელთა გამოკითხვაზე დაყრდნობით. პროგრამის ფარგლებში, ოთხის სემესტრის განმავლობაში ხდება როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული ინგლისურის სწავლება. მიღების წინაპირობები არ არის შეზღუდული და სტუდენტს ნებისმიერი უცხო ენით აქვს შესაძლებლობა მოხვდეს აღნიშნულ პროგრამაზე, თუმცა მათთვის თავიდანვე ხდება ინგლისურის ინტენსიური კურსის შეთავაზება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა აკრედიტაციის ვადებზე, კერძოდ აღნიშნა, რომ პროგრამა აკრედიტაციის მისაღებად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეტანილი იყო თებერვლის თვეში, რომლის გათვალისწინებითაც, პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში განაგრძობს ფუნქციონირებას.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მიიღოს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა, რაც განპირობებულია ინსტიტუციაში არსებული ლაბორატორიებით. სტუდენტებს ასევე აქვთ საშუალება განახორციელონ პრაქტიკული სამუშაოები თელავის აეროპორტში. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტს მფლობელობაში აქვს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ანგარი, ხომალდი boeing 737-200, რაც ასევე გამოიყენება პრაქტიკული სამუშაოებისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ ბევრი სასწავლო კურსი აქვთ გაცნობითი, ხოლო განმტკიცების ნაწილი და პრაქტიკული კომპონენტი ასახული აქვთ სწავლის შედეგების რუკაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:45
დასრულების დრო: 17:05

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო

ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მეორე საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.07.2015 N106
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერის მაგისტრი საჰაერო ხომალდების ტექნიკურ ექსპლუატაციაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0716 - ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები
12	კვალიფიკაციის კოდი	0716
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	ქეთევან დედოფლის გამზირი, N16, თბილისი, 0103, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ნიკა თიკანაშვილმა
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს აკრედიტებულ პროგრამას, რომლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია „ინჟინერიის მაგისტრი საჰაერო ხომალდების ტექნიკურ ექსპლუატაციაში“. კურსდამთავრებული პროგრამის დასრულების შემდეგ, შეძლებს საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სამუშაოების მართვას პროგრამა ითვალისწინებს 120 კრედიტს, აქედან ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებზე გამოყოფილა 84 კრედიტი, თვისუფალ სასწავლო კურსებზე კი - 36 კრედიტი.

აღნიშნული პროგრამა შედგენილია სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) და ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) სტანდარტების მოთხოვნების

შესაბამისად. პროგრამაში დასაბუთებულია ქართულ და საერთაშორისო ბაზარზე საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის მაგისტრის დონის სპეციალისტების საჭიროება.

მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებისა და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე პროგრამაში გათვალისწინებულია ახალი სასწავლო კურსები. აღსანიშნავია რომ, ახალ პროგრამაში გაერთიანებულია „საჰაერო ხომალდებისა და საავიაციო ძრავების ტექნიკური ექსპლუატაციის“ და „საჰაერო ხომალდებისა ავიონიკისა და ელექტრული სისტემების“ ადრინდელი საბაკალავრო პროგრამების თემატიკები და სწავლის შედეგები. აღნიშნული სიახლეები ემსახურება ამ პროგრამის კურსდამთავრებულთა თანამედროვე სტანდარტების ცოდნის დაუფლებას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას არა მარტო საქართველოს არამედ საერთაშორისო ბაზარზე.

„საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 2020 წლის 29 ივლისს განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში. ვიზიტის დროს, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის დაცვით მოხდა გასაუბრება: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით გადამოწმდა დოკუმენტებით წარმოდგენილ ინფორმაციასთან შესაბამისობა, შემოწმდა სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიები, შემოწმდა სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა ბიბლიოთეკაში. ვიზიტის ბოლოს განხორციელდა ძირითადი მიგნებების გაცნობა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენლებისათვის.

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ: კერძოდ: 1.1, 1.2, 2.1, 2.3, 2.4, 2.5, 2.6, 3.1, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 5.1, 6.2, და 5.3 შესაბამისობაშია, ხოლო 2.2 მეწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:

1. პროგრამის სასწავლო გეგმაში კომპონენტი „სამაგისტრო ნაშრომი“ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებიდან გამოიყოს ცალკე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სტატუსის სახით.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რჩევებზე, კერძოდ:

1. სასურველია დაკონკრეტდეს თუ რა დამატებითი სასწავლო კურსების ჩაბარება მოუწევს მაგისტრის სტატუსის მაძიებელ პირს, როდესაც მას არ უდასტურდება ინჟინრის კვალიფიკაცია;
2. მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გაწერის დროს სილაბუსების ავტორებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ ბლუმის ტაქსონომიის მიდგომები (ზმნები);
3. მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების ჩართულობა მოქმედი ავიაკომპანიების საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების პროცესებში, რათა მიიღონ მეტი ინფორმაცია საავიაციო ტექნიკის მომსახურების პროცესში არსებული სირთულეებისა და

გამოწვევების შესახებ. ავიაკომპანიებიდან მოხდეს საავიაციო ტექნიკის საიმედოობის შესახებ მეტი ინფორმაციის მოძიება და გაანალიზება.
4. სასურველია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების შესახებ სტუდენტთა მეტი ინფორმირება;
5. სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს აკადემიური წერის სტანდარტების დაცვას სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების დროს.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებსა და რჩევებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ პირველი რეკომენდაცია განპირობებულია ტექნიკური საკითხით. თავის მხრივ, სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი კომპონენტის გამოყოფილია და ფასდება ერთჯერადად, რომელიც მოცემულია როგორც პროგრამაში, ასევე სილაბუსში.
პროგრამის თანამხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რჩევებთან მიმართებით დაწესებულებას წინააღმდეგობრივი პოზიცია არ გააჩნია. პირველ რჩევასთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ მაგისტრატურის სტატუსის მაძიებელ პირთათვის აუცილებელი ინფორმაცია დაკონკრეტებული სახით მიწოდებული იქნა იმ დოკუმენტით, რომლითაც მოხდა პროგრამაზე მიღების გამოცხადება.
რაც შეეხება მე-2 რჩევას, დაწესებულება მას სრულიად იზიარებს და ეთანხმება, შესაბამისად, მოხდება აუცილებელი ცვლილებების გატარება. მნიშვნელოვანია ასევე, ნაშრომების გაფორმების საკითხი, კერძოდ, მიმდინარე ნაშრომების, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფისთვის იქნა წარდგენილი გაფორმებული იყო ძველი წესის მიხედვით, შესაბამისად ახალ გაფორმების წესში მოხდა მნიშვნელოვანი საკითხების დაკონკრეტება.
პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე გამოყო საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენების საკითხი და აღნიშნა, რომ დაწესებულება შოთა რუსთაველის ფონდთან ერთად ჩართულია კონსორციუმში. ექსპერტებისთვის წარდგენილი სტატისტიკის მიხედვით უნივერსიტეტს საკმაოდ კარგი წვდომა აქვს საერთაშორისო ბაზებთან.

საბჭოს თავმჯდომარე მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.
საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა დააზუსტა, თუ რამ გამოიწვია მე-5 რჩევის განსაზღვრა.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ექსპერტები გაეცნენ სამაგისტრო ნაშრომებს, სადაც იყო როგორც სტილისტური, ასევე გაფორმებასთან დაკავშირებული ხარვეზები, რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, მასთან დაკავშირებით ხარვეზები არ გამოკვეთილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:45
დასრულების დრო: 17:05

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მესამე საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.07.2015 N116
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგოები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საავიაციო ინჟინერიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0716 - ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები
12	კვალიფიკაციის კოდი	0716
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180

15	განხორციელების ადგილი	ქეთევან დედოფლის გამზირი, N16, თბილისი, 0103, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა- ნიკა თიკანაშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს აკრედიტებულ პროგრამას, რომლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება „საავიაციო ინჟინერიის დოქტორის“ კვალიფიკაცია. პროგრამა ითვალისწინებს 180 კრედიტის დაგროვებას, აქედან სასწავლო კომპონენტის მოცულობას შეადგენს 60 კრედიტი, ხოლო კვლევითი კომპონენტის - 120 კრედიტი. სადოქტორო თემის კვლევითი კომპონენტები ნაწილდება 3 თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევად, რომლებიც სრულდება III, IV და V სემესტრებში. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა ხდება VI (ან მომდევნო) სემესტრში. პროგრამა ორიენტირებულია საჰაერო ხომალდების საფრენოსნო-ტექნიკური ექსპლუატაციის ეფექტურობის ამაღლების და ფრენების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დარგში თეორიულად განსწავლული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე. პროგრამაში გათვალისწინებული ევროპის ანალოგიური უნივერსიტეტების გამოცდილება.

„საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 2020 წლის 29 ივლისს განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში. ვიზიტის დროს, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის დაცვით მოხდა გასაუბრება: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით გადამოწმდა დოკუმენტებით წარმოდგენილ ინფორმაციასთან შესაბამისობა, შემოწმდა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შემოწმდა სახელმძღვანელოების, სამეცნიერო ლიტერატურის და დაცული დისერტაციების არსებობა. ვიზიტის ბოლოს განხორციელდა ძირითადი მიგნებების გაცნობა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენლებისათვის. ვიზიტის დროს გაუთვალისწინებელი შემთხვევები და პროცედურული დარღვევები არ დაფიქსირებულა.

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ: კერძოდ: 1.1, 1.2, 2.1, 2.2, 2.3 2.4, 2.5, 2.6, 3.1, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 5.1, 6.2, და 5.3 შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რჩევებზე, კერძოდ:

1. სასურველია დაკონკრეტდეს რა შინაარსის სასპეციალიზაციო გამოცდის ჩაბარება მოუწევს დოქტორანტის სტატუსის მაძიებელს იმ შემთხვევაში, თუ მას არ უდასტურდება ავიაციის ინჟინერიის მაგისტრის კვალიფიკაცია;
2. თანამედროვე ეტაპზე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნულ საფეხურზე ელექტრონული სწავლების (დისტანციური სწავლების) მეთოდების ფართოდ გამოყენება;

3. სასურველია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ დოქტორანტთა მეტი ინფორმირება;
4. მიზანშეწონილია გაიზარდოს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალის „საჰაერო ტრანსპორტის“ გამოცემის პერიოდულობა;
5. გარე შეფასების ეფექტურობის ამაღლების მიზნით, გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში მიზანშეწონილია მოხდეს პარტნიორი უნივერსიტეტების შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალის ჩართულობის გაფართოება გარე შეფასების განხორციელებაში.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ისაუბრა პროგრამის მნიშვნელოვან მიღწევებზე, კერძოდ:

1. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობის დადებით შედეგებზე მეტყველებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა დადებითი შეფასებები სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით.
2. საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტების ნაშრომების თემატიკა ორიენტირებულია თანამედროვე გამოწვევებსა და საჭირბოროტო საკითხების დამუშავებაზე, რაც იძლევა საფუძველს ნაშრომების აქტუალიზაციისა და ხორცშესხმისათვის.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამა ითვალისწინებს როგორც დაპროექტებას, ასევე საავიაციო ექსპლუატაციის საკითხებს. მნიშვნელოვანია, რომ ქართველი მეცნიერები აქტიურად არიან ჩართულნი ავიაციის განვითარებაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ინსტიტუცია ეთანხმება და იზიარებს ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რჩევებს და შესაბამისად, მაქსიმალურად მოხდება მათი გათვალისწინება.
მე-4 რჩევასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აღნიშნულს, თუმცა ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი არის საკმაოდ მოცულობითი, რადგან მის შექმნაში მონაწილეობას იღებენ არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი კოლეგებიც.

საბჭოს თავმჯდომარე მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.

სხდომის მდივანმა, თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის მინიჭების შემდგომ მნიშნელოვანია პროგრამა და მასში კრედიტების განაწილება შესაბამისობაში მოვიდეს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 46-ე მუხლთან. თამარ ტუფინაშვილმა ასევე განმარტა, რომ პროგრამის მიხედვით, კვლევით კომპონენტში მოცემულია მოცემულია კოლოქვიუმები, თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევა, რომლებსაც არა აქვთ მინიჭებული კრედიტები და შესაბამისად არ ფასდება. თუმცა კურიკულუმის რუკაზე მოცემულია თუ რა როლს ასრულებს თითოეული მათგანი პროგრამის შედეგების მიღწევაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოცემული კურიკულუმის რუკის დაკორექტირება.
საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ დისერტაციის დაცვის სილაბუსში მოცემულია შეფასების მექანიზმი, რომელიც ფასდება ქულებით (0-100 მდე). ძირითადად გაწერილია სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა, მაშინ როცა კვლევით კომპონენტის შეფასება უნდა მოხდეს განსხვავებულად, შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნულის დაკორექტირება.
საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა სილაბუსში მოცემულ ლიტერატურაზე და განაცხადა, რომ სასწავლო ლიტერატურის სახით არ არის მოცემული სამეცნიერო სტატიები, ძირითადად მოცემულია სახელმძღვანელოები. შესაბამისად, სასურველია მოცემული იყოს სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კონკრეტული

თემის მიხედვით დოქტორანტებს უწევთ შესაბამისი მასალებისა და სამეცნიერო სტატიების მოძიება, ამ მიმართულებით, ინსტიტუციას აქვს წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებთან.
პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ შეფასების საკითხი სადისერტაციო ნაშრომის შესახებ დებულებაში საკმოდ დეტალურად არის გაწერილია და შეფასებები მოცემულია განსხვავებულად, ხოლო რაც შეეხება სილაბუსს, სახეზეა ტექნიკური ხასიათის შეცდომა, რომელიც აუცილებლად იქნება გამოსწორებული.
საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია ,,პროფესორის ასისტირება“ და ,,სწავლის მეთოდები“, რომლებიც სრულდება საბოლოო გამოცდით, სადაც საკითხების შერჩევა ხდება გავლილი მასალის მიხედვით. სადოქტორო საფეხურზე, უმჯობესი იქნებოდა პორტფოლიოების მომზადება, მეტად პრაქტიკული კომპონენტებით შეფასება. რაც შეეხება ლიტერატურას, უმჯობესია გადაიხედოს, ვინაიდან სავალდებულო ლიტერატურად განსაზღვრულია ერთი სახელმძღვანელო, რომელიც არ არის თანამედროვე. საბჭოს წევრმა ასევე გამოყო ,,აკადემიური წერის“ სილაბუსი და აღნიშნა, რომ მოცემულია სამაგისტრო საფეხურის სილაბუსი და განმარტა, რომ აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი უნდა გამოსწორდეს.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მზადაა იმუშავოს ამ კუთხით, რათა მოხდეს შეფასების დახვეწა, თუმცა აღანიშნავია, რომ კურსები მიეკუთვნება სასწავლო კომპონენტს. დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ,,აკადემიური წერის“ სილაბუსთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მოცემული კურსი განკუთვნილია მათთვის ვისაც სამაგისტრო სწავლების საფეხურზე არ გაუვლია აღნიშნული საგანი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:45
დასრულების დრო: 17:05

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი და 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მე-2 სტანდარტი განსაზღვრა როგორც მეტწილად შესაბამისი.
საბჭომ შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:
ა) გადაიხედოს სილაბუსები კვლევითი რესურსებისა და სტატიების ინტენსიურად წარმოჩენის მიზნით;
ბ) დაკორექტირდეს კურიკულუმის რუკა;
გ) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მეორე პუნქტის გ) ქვეპუნქტის საფუძველზე ამოღებულ იქნას სასწავლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული კრედიტების რაოდენობა.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

მეოთხე საკითხი: შპს ევროპის უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	17.12.2019, N252
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	კვალიფიკაციის კოდი	0421
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზირი N 76
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მდივნის მოვალეობის შესრულება გააგრძელა საბჭოს მდივანმა ნიკა თიკანაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა ისაუბრა შესასრულებელ რეკომენდაციებზე, კერძოდ:

1. პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებულ იქნეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები არა მხოლოდ დამსაქმებელთა გამოკითხვის კონტექსტში, არამედ დასაქმების ბაზრის შესწავლისა და ანალიზის მიმართულებით. ასევე სასურველია რომ იგი საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს ითვალისწინებდეს;

2. სტანდარტები და მისი ქვესტანდარტები შინაარსობრივად, თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის პროცესში მკაფიოდ იქნეს გამიჯნული;
3. სასწავლო კურსის - "სანივთო სამართლის" ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში არ არის მითითებული სახელმძღვანელო თამარ ზარანდიას ავტორობით - 2019 წელს გამოცემული ,,სანივთო სამართლის საფუძვლები'' მეორე გამოცემა - შევსებული რედაქცია. საბაკალავრო პროგრამის მიზნებისთვის სილაბუსი მოდიფიცირდეს და სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს აღნიშნული სახელმძღვანელო;
4. სამართლის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან არის 18/37-ზე. მოცემული თანაფარდობა შეიცვალოს აკადემიური პერსონალის სასარგებლოდ, რათა პროგრამის მდგრადობა მეტად იქნეს უზრუნველყოფილი. დაიხვეწოს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის პრინციპი. პროგრამის მდგრადობისთვის სპეციალობის ძირითადი საათობრივი დატვირთვა უნდა განაწილდეს დარგობრივ აკადემიურ პერსონალზე;
5. საგნების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო, განსაკუთრებით, პრაქტიკული კურსი, მაქსიმალურად იქნეს ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) დონეზე, რომ არ შეიცავდეს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) ელემენტებს. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემუშავდეს სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამების ურთიერთგამიჯვნის ერთიანი მკაფიო პოლიტიკა მათი (საბაკალავრო და სამაგისტრო) დონეების შესაბამისი სიღრმის მიხედვით, რაც არსებული დარგობრივი მახასიათებლებით არის დადგენილი;
6. განახლდეს ლიტერატურა "საკორპორაციო სამართალის" სილაბუსში, ასევე გადაიხედოს მისი შინაარსი და სრულ შესაბამისობაში მოვიდეს სახელწოდებასთან;
7. განახლდეს ლიტერატურა „სახელშეკრულებო სამართლის" სილაბუსში;
8. გადამუშავდეს „კრიმინალისტიკის" სილაბუსი;
9. უზრუნველყოფილ იქნას საგნის სრული მოცულობით დაფარვა „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების" სილაბუსში.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოცემული რეკომენდაცია მიზნობრივად პროგრამის დაგეგმარების ეტაპს უკავშირდება, როდესაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს შრომის ბაზრის მოთხოვნები შესაბამისი კვალიფიკაციური კურსდამთავრებულის მომზადების პროცესში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შრომის ბაზრის კვლევისკენ გადადგმული ნაბიჯები როგორც საჯარო სექტორში, ისე - კერძო სექტორში. ასევე, წარმოდგენილი ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგების კვლევის შედეგი. თუმცა, ხსენებული კვლევა, არსებითად ზოგადი ხასიათისაა და მასში ნაკლებად არის გამოხატული ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის უშუალო მიმართება იმ ვაკანსიებთან თუ საკვალიფიკაციო გამოცდასთან, რომელიც კლვევის ფარგლებშია წარმოდგენილი. შესაბამისად, რეკომენდაცია მეტწილად არის შესრულებული.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულების მხრიდან თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენის ეტაპზე უნდა იქნეს გათვალისწინებული. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშში განმარტებულია, რომ სამომავლოდ იქნება გათვალისწინებული. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ეტაპზე თვითშეფასების ანგარიშში გასამიჯნი სტანდარტები და ქვესტანდარტები ახალი ფორმით არ არის შესრულებული, რეკომენდაცია, სამომავლო კონტექსტის გათვალისწინებით, ნაწილობრივ არის შესრულებული.
მე-3 რეკომენდაცია მიმართულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსის ლიტერატურის განახლებისკენ, სადაც ერთ-ერთი უახლესი ნაშრომი, სასურველია, რომ მითითებულ

ყოფილიყო. წარმოდგენილი სილაბუსიდან ნათლად ჩანს, რომ სავალდებულო ლიტერატურა განახლებულია და რეკომენდაციაში ხსენებული წიგნი მითითებულია. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.

მნიშვნელოვანია ასევე მე-4 რეკომენდაცია, კერძოდ, რეკომენდაცია პროგრამის კვალიფიკაციური ადამიანი რესურსით უზრუნველყოფისკენ არის მიმართული, რაც პროგრამის განხორციელების სტაბილურობის გარანტიაა. რეკომენდაციის გაწერა განაპირობა აკადემიური პერსონალის მოწვეულ პერსონალთან მიმართებით უარყოფითმა თანაფარდობამ, რის საპასუხოდაც, სასწავლო უნივერსიტეტს გამოცხადებული ჰქონდა აკადემიური პერსონალის მისაღები კონკურსი. თუმცა, მოცემული კონკურსის შედეგად, არჩეულ იქნა მხოლოდ ორი კონკურსანტი აკადემიურ თანამდებობაზე, რის გამოც, ანგარიშში წარმოდგენილი განმარტების თანახმად, ხელახლა იგეგმება კონკურსის გამოცხადება. შესაბამისად, მოცემული მომენტისათვის, აკრედიტაციის პროცესში დაფიქსირებული უარყოფითი თანაფარდობა არსებითად შეცვლილი არ არის, თუმცა, რიგი ქმედებებისა განხორციელებულია. შედეგად, წარმოდგენილი რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული. რაც შეეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, ის განახლებულია მიმდინარე წელს, რაც აკმაყოფილებს მეთოდოლოგიის არსებობისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, რეკომენდაციის მეორე ნაწილი შესრულებულია.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, სამართლის საბაკალავრო და სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები, უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი პროგრამებია, რომელიც თავიანთი სირთულით, ერთმანეთისგან, არსებითად გასამიჯნია. რეკომენდაცია გაწერილ იქნა სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით საგნების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, ასევე, დონეთა შორის რელევანტური სხვაობის მისაღებად. წარმოდგენილ ანგარიშს თან ახლავს სამართლის სამაგისტრო პროგრამის გაუქმების დასაბუთება, რაც ხსენებული პროგრამის მილევად რეჟიმში განხორციელებას გულისხმობს. ასევე, გადახედილი და განახლებული აკადემიური წერის სილაბუსი - ნებისმიერ შემთხვევაში, დაწესებულებას გარკვეული ცვლილებები მოცემულ სასწავლო კურსში შეცვლილი აქვს. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია.

მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექპსერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სილაბუსი განახლებულია - დამატებულია ლიტერატურა, ასევე, განახლებულია თემატიკა, თუმცა, არ არის განმარტებული სახელწოდების ცვლილების საფუძველი თუ რის გამო იქნა „საკორპორაციო სამართალი“ „სამეწარმეო სამართლით“ ჩანაცვლებული, რამდენადაც აღნიშნული სახელწოდებრივი ცვალებადობა მხოლოდ ფორმალური შინაარსის მატარებელი არ არის და ის შინაარსობრივ კატეგორიაზე გადის. საკითხი ეხება სამეწარმეო სამართლისა და საკორპორაციო სამართლის ურთიერთმიმართებასა და ასევე, სამართლის ბაკალავრიატის ეტაპზე კორპორაციულ-სამართლებრივი საკითხების შესწავლის ფარგლებსა და მოცულობას. შესაბამისად, სასურველია წარმოდგენილი ყოფილიყო სახელწოდებითი ცვლილების საფუძველი. ასევე, რეკომენდაცია კონკრეტული სახელმძღვანელოს მითითება ექსპერტთა მხრიდან არ მომხდარა როგორც ეს კომიტეტის სხდომის ოქმშია მითითებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელწოდებითი ცვლილების დასაბუთება არ იკვეთება არც კომიტეტის სხდომის ოქმიდან. შედეგად, რეკომენდაცია მეტწილად არის შესრულებული.

მე-7 რეკომენდაცია მიმართულ იყო სახელშეკრულებო სამართლის სილაბუსის განახლებისკენ. წარმოდგენილი ანგარიშიდან და სილაბუსიდან ირკვევა, რომ სავალდებულო ლიტერატურა განახლებულია - დამატებული აქვს რამდენიმე ნაშრომი. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.

რაც შეეხება მე-8 რეკომენდაციას, სასწავლო კურსის „კრიმინალისტიკა“ სილაბუსი განახლებულ იქნა, რაც გამოიხატა სავალდებულო ლიტერატურის დამატებით. ასევე, დახვეწილია საგნობრივი ტერმინოლოგია. აღნიშნული საკითხი განხილული კომიტეტის სხდომაზე. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.

მე-9 რეკომენდაციის შესრულების მიზნით, სილაბუსს მოდიფიცირებულ იქნა - დამატებულია წუნდებული პროდუქციით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თემა. ისევე როგორც სხვა სილაბუსებში განხორციელებული ცვლილებები, აღნიშნული საკითხიც განხილულია კომიტეტის სხდომაზე. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამა მეტად პრაქტიკულია, რაც ხელს უწყობს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავებას. ბაზრის კვლევამ კიდევ ერთხელ გამოკვეთა, რომ კონკურენტუნარიანი კადრების მოსამზადებლად აუცილებელია სტუდენეტებისათვის შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლება. ასეთი სასწავლო კურსებით პროგრამა გაჯერებულია, თუმცა სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების მიცემისათვის აუცილებელია შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალით პროგრამის გაჯერება, ეს კი განსაკუთრებით აქტუალურია სპეციფიკური სასწავლო კურსების შემთხვევაში პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული არის არა მარტო კონკრეტული დარგის სამართლის კანონმდებლობის ცოდნა, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, რაც ხორციელდება ისეთი საგნებით, რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტებს შეისწავლონ საპროცესო დოკუმენტების შედგენა და ზოგადად თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. აღნიშნული გადაწყვეტილება დაწესებულების მიერ მიღებული იქნა ორი მიზნით. პირველი ის, რომ პროგრამაზე მომუშავე პერსონალი წარმოადგენს პოტენციურ დამსაქმებელს, შესაბამისად, სწავლება ხდება ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად და მეორე, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პრაქტიკული ცოდნა საკმაოდ მოთხოვნადი და საჭიროა. დაწესებულება მიიჩნევს, რომ პირველ რეკომენდაციის შესრულების მიზნით მოხდა რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, რაც ასევე აისახა პროგრამაზე.

პროგრამის ხელმღვანელმა ასევე ისაუბრა მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, სამართლის საბაკალავრო პროგრამა განახლდა 2019 წელს, რის შედეგადაც სრულად შეიცვალა პროგრამის ძირითადი კონცეფცია. აღნიშნული რადიკალური ცვლილებების ფონზე, პროგრამას დაემატა სასწავლო კურსები, რომელთა სპეციფიკა საჭიროებს საკმაოდ ვიწრო სპეციალიზაციისა და შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების პერსონალის მოძიებას. სწორედ ამან გამოიწვია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი მოწვეული პერსონალის რაოდენობის ზრდა. აკრედიტაციის ექსპერტთა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამის ფარგლებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის აკადემიური პერსონალის სასარგებლოდ შეცვლის თაობაზე გაცემული რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა დაწესებულების მიერ და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან თანამშრომლობით გამოცხადდა კონკურსი აკადემიური პოზიციის დასაკავებლად.

მე-6 რეკომენდაციასტან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესში, აკრედიტაციის ექსპერტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მხრიდან „საკორპორაციო სამართლის“ სილაბუსის შინაარსისა და სახელწოდების შესაბამისობაში მოყვანის, ასევე, ლიტერატურის განახლების თაობაზე მიღებული რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსი კიდევ ერთხელ იქნა განხილული როგორც სასწავლო კურსის ლექტორის, ისე პროგრამის კომიტეტის მიერ, სასწავლო კურსს შეეცვალა სახელწოდება. სასწავლო კურსის განახლებული სახელწოდებაა „სამეწარმეო სამართალი“. სავალდებულო ლიტერატურის ლიტერატურას დაემატა ქ. ქოქრაშვილის ავტორობით 2010 წელს გამოცემული

სახელმძღვანელო „სამეწარმეო სამართალი“. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია უნივერისტეტის ბიბლიოთეკაში, შესაბამისად მისი შეძენის საჭიროება არ დამდგარა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:52
დასრულების დრო: 18:02

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს ევროპის უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

მეხუთე საკითხი: „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 02 ოქტომბრის №936796 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ;

მეექვსე საკითხი: „შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათ ლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 02 ოქტომბრის №936797 გადაწუვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ;

მეშვიდე საკითხი: „სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის “რეაბილიტაციაში მრჩევლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 02 ოქტომბრის №936798 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ;

საბჭომ განიხილა აღნიშნული გადაწყვეტილებებში დაშვებული ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ, აღნიშნული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის, აკრედიტაციის ვადის გასვლისა და 2020 წლის 18 სექტემბრის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში ძალაში შესვლის თარიღის, ასევე საჭიროების შემთხვევაში ანგარიშის წარმოდგენის ვადის ცვლილების შესახებ.
ასევე „შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო

პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 02 ოქტომბრის №936797 გადაწყვეტილების დანართ№1-ის მე-9 გრაფაში ჩასწორდეს კვალიფიკაციის დასახელება, ნაცვლად „მეცნიერების მაგისტრი ინფორმატიკაში“ კვალიფიკაციისა მითითებული უნდა იყოს „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი“

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა 2020 წლის 18 სექტემბრის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
გასწორდეს 2020 წლის 02 ოქტომბრის N936796 აკრედიტაციის საბჭოზე მიღებულ გადაწყვეტილებებში ტექნიკური ხარვეზი და ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 18 სექტემბერი;

გადაწყვეტილება
გასწორდეს 2020 წლის 02 ოქტომბრის N936797 აკრედიტაციის საბჭოზე მიღებულ გადაწყვეტილებებში ტექნიკური ხარვეზი და ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 18 სექტემბერი და დანართი №1-ის მე-9 გრაფაში ჩასწორდეს კვალიფიკაციის დასახელება;

გადაწყვეტილება
გასწორდეს 2020 წლის 02 ოქტომბრის N936798 აკრედიტაციის საბჭოზე მიღებულ გადაწყვეტილებებში ტექნიკური ხარვეზი და ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 18 სექტემბერი;

მერვე საკითხი: „შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 სექტემბრის №896840გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო პროგრამის გადაწყვეტილებაში დანართი N1-ის სასწავლო კომპონენტში 180 კრედიტის ნაცვლად მიეთითოს 50 კრედიტი;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 სექტემბრის N896840 გადაწყვეტილების დანართი N1-ში ტექნიკური სახის ცვლილების შეტანა;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

გასწორდეს „შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 სექტემბრის N896840 გადაწყვეტილების დანართი N1-ში ტექნიკური შეცდომა და ცხრილში - ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ მე-13 პუნქტში კრედიტების ჯამურ რაოდენობაში მიეთითოს 50 კრედიტი.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ტუფინაშვილი თამარ